დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 2022 წლის 1 აპრილის N2/49 ბრძანებით

ცვლილებები შესულია რექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის N2/193 ბრძანებით
ცვლილებები შესულია რექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის N2/171 ბრძანებით

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია**

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი(2022-29 წწ) გეგმა

**BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე!**
ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

**2022წ**

# ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (BTA) დაფუძნებულია 30 წლიანი საგანმანათლებლო გამოცდილების საფუძველზე, რომელსაც 2014 წელს მიენიჭა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დღეისათვის ახორციელებს პრიორიტეტული მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამებს.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია:

- ❖ 2015 წელს ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამა, რისთვისაც გადაეცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მადლობის სიგელი.
- ❖ კოლეჯების ბრენდირების ფარგლებში 2016-17 წლებში 2-ჯერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასებით 5 ვარსკვლავით.
- ❖ 2018 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიენიჭა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული;
- ❖ 2019 წლის დეკემბერში გახდა ISO 9001:2015 სერთიფიკატის მფლობელი, რომელსაც დღემდე წარმატებით ინარჩუნებს;
- ❖ 2019 წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ერთ-ერთმა პირველმა დანერგა „მშენებლობის მწარმოებლის“ დუალური პროგრამა.
- ❖ არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი;
- ❖ 2019 წლის 14 თებერვალს BTA საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაცის პარტნიორი ორგანიზაცია.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია( BTA) აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებს:

- ❖ „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“;
- ❖ „სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამა“;
- ❖ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიერ შემუშავებული „შრომის უსაფრთხოების სპეცილისტის აკრედიტებული პროგრამა“.

- ❖ პირველად კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების სივრცეში, აკადემიის ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი გახდა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს სტიპენდიანტი.
- ❖ ჩვენი ორგანიზაციისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა პარტნიორების მოძიება, მათთან თანამშრომლობის დამყარება, რაც ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას.
- ❖ დაწესებულებას კერძო მფლობელობაში აქვს 2 საკუთარი შენობა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით
- ❖ საწარმოო პრაქტიკები ხორციელდება წარმატებულ კომპანიებში, რაც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობას აძლევს.
- ❖ კოლეჯში არის პროფესიონალი და კეთილგანწყობილი პერსონალი, საინტერესო სტუდენტური პროექტები, მრავალფეროვანი სასერტიფიკატო პროგრამები და სხვა მრავალი საინტერესო რამ, ერთიანობაში აკადემია სწავლისა და პროფესიული განვითრების მოტივაციას ქმნის.

# BTA

## I. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები

### მისია:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

### ხედვა:

2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რასაც დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს.

### ღირებულებები:

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა

01 სასწავლო კორპუსი



02 სასწავლო კორპუსი



03 სასწავლო კორპუსი



ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, №50ა, №52

Შ.Პ.Ს. „ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ“

ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ





# SWOT - ანალიზი

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
| --- | --- |
| ○ გამართული მენეჯმენტის სიტემა;<br>○ რექტორის და ადმინისტრაციის ხშირი კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან;<br>○ საერთაშორისო ხარისხი(ISO 9001:2015; IQN);<br>○ საკუთარი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი შენობები;<br>○ ახალგაზრდული და მეგობრული გუნდი ;<br>○ მრავალწლიანი გამოცდილება განათლების სფეროში;<br>○ სამი განყოფილებების არსებობა სხვადასხვა ლოკაციაზე;<br>○ თანამშრომელთა განვითარებასა და წახალისებაზე უწყვეტი ზრუნვა;<br>○ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;<br>○ ზრუნვა ბრენდის პრიორიტეტებზე და უწყვეტ განვითარებაზე;<br>○ კონკურენტუნარიანობა;<br>○ სახელწიფო პროექტებში/ტენდერებში აქტიური მონაწილეობა;<br>○ სწავლების და შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვა;<br>○ პროფესიულ სტუდენტთათვის/მსმენელთათვის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება.<br>○ გაზრდილი პოპულარობა;<br>○ მაღალი ხარისხის სტუდენტური სერვისები;<br>○ ინფრასტრუქტურაში ინვისტიციების მზარდი ოდენობა;<br>○ ფინანსური მხარდაჭერა სტუდენტებისთვის, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი პირობები;<br>○ საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება;<br>○ რეკრეაციული ზონების ხელმისაწვდომობა; | ○ კვალიფიციური ადამიანური რესურსების სიმცირე;<br>○ პროფესიულ სტუდენტთა სწავლისადმი დაბალი მოტივაცია;<br>○ პროფესიული განათლების განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნეს პარტნიორების ნაკლებობა და დაბალი ჩართულობა სასწავლო პროცესში;<br>○ ახალი თანამშრომლების მოძიების პროცესში სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მოწოდებას შორის არსებული სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსი |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| ○ ინფრასტრუქტურის განვითარება;<br>○ საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერება;<br>○ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობის გაზრდა;<br>○ ახალ პროექტებში /ტენდერებში მონაწილეობა;<br>○ პერსონალის დატრენინგება და წახალისება საჭიროებების გათვალისწინებით;<br>○ სახელმწიფო დაფინანსების მოდელში მონაწილეობა;<br>○ პერსონალის რაოდენობის გაზრდა;<br>○ დამატებითი ფინანსების მოზიდვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან;<br>○ საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარება<br>○ პროფესიული განვითარების პროგრამების შესაძლებლობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;<br>○ სახელმწიფო პრიორიტეტი/დაინტერესება პროფესიული განათლების მიმართ;<br>○ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების შესწავლა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;<br>○ პარტნიორთა ძლიერი ქსელის შექმნა. | ○ ავტორიზებული პროფესიული პროგრამების გაუქმება ;<br>○ სახელმწიფოს მხრიდან ხშირი რეფორმა, რაც იწვევს პროგრამებში, დოკუმენტაციაში ცვლილებებს;<br>○ პროფესიულ სტუდენტთა გადინება;<br>○ არაჯანსაღი კონკურენცია;<br>○ ავტორიზებული პროფესიული პროგრამების გაუქმება ;<br>○ ახალგაზრდების დაბალი მოტივაცია სწავლისადმი<br>○ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება;<br>○ მაღალი კონკურენცია და სწრაფად ცვალებადი გარემო |

# 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

**1.04.2022-1.04.2029**

| სტრატეგიული ამოცანა | მიზნის მიღწევის ინდიკატორი | პასუხისმგებელი | შესრულების დრო | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| **სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური განვითარება** | | | | | | | | | |
| 1.საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება | 1.ყოვლწლიურად შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება ;<br>2.ყოვლწლიურად იდენტიფიცირებულია მინიმუმ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებთ მინიმუმ 10% გაზრდილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;<br>3.ყოველწლიურად მინიმუმ ერთი პროგრამის ფარგლებში განხორციელებულია არაფორმალური განათლების აღიარება;<br>4. ყოვლწლიურად შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების სპექტრის გაფართოება ; | 01;02;03;15 | | | | | | | |
| | 5. საჩხერის ლოკაციაზე ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ჰაბი; | | | | | | | | |
| 2.ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო რესურსების განვითარება | 1.ყოველწლიურად მინიმუმ 10%-ით განახლებული საგანმანათლებლო გარემო;<br>2. ყოველწლიურად მინიმუმ 10%-ით განახლებული საინფორმაციო რესურსები;<br>3. ყოველწლიურად მინიმუმ 3%-ით განახლებული/გაციფრულებული საბიბლიოთეკო რესურსები;<br>4. საგანმანათლებლო რესურსების შექმნა მინიმუმ ერთი.<br>5. უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, წესრიგის დაცვა. | 01;03;07;08;09;10;13;23;24 | | | | | | | |
| | 6 საჩხერის ლოკაციაზე აშენებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო კორპუსი და საერთო საცხოვრებელი(კამპუსი) | | | | | | | | |
| 3.პერსონალის განვითარება | 1.ყოველწლიურად მინიმუმ ერთი ახალი პერსონალის დამატება ადმინისტრაციულ რგოლში, ყოველ პროგრამაზე მინიმუმ თითო ახალი დარგის მასწავლებლის დამატება;<br>2. ყოველწლიურად პერსონალის კმაყოფილების დონე განისაზღვრება მინიმუმ 75%;<br>3. ყოველწლიურად შენარჩუნებულია არსებული პერსონალის მინიმუმ 85%;<br>4.ყოველწლიურად განხორციელებულია პერსონალის მართვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 80%; | 01;02;03;15;16 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.ფინანსური მდგრადობა | 1. ყოველწლიურად კვოტის სრულად შევსება მინიმუმ პროგრამების 80% ფარგლებში; 2.ყოველწლიურად მინიმუმ 1 ტენდერის/საგრანტო პროექტის განხორციელება; 3. 3. ყოველწლიურად შემოსავლის გაზრდილი ოდენობა მინიმუმ 10%-ით. | 01;02;03;19 | | | | | | | |
| 5.ინფორმაციული რესურსების მართვა | 1.საგანმანათლებლო/სამუშაო პროცესი უზრუნველყოფილია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით, დაცულია ინფორმაციული უსაფრთხოება<br>2.საქმისწაროება ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით<br>3.საგანმანათლებლო პროცესში საჭირო ინფორმაცია ასახულია ელექტრონული მართვის სისტემაში(EMIS)კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში; | 10;13;14 | | | | | | | |

| სტრატეგიული ამოცანა | მიზნის მიღწევის ინდიკატორი | პასუხისმგებელი | შესრულების დრო | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| სტრატეგიული მიზანი 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება | | | | | | | | | |
| 1.ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შიდა აუდიტი | 1.ყოველწლიურად ხუთივე სტანდარტში განხორციელებული თვითშეფასება;<br>2.ანალიზის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებული რეაგირებები;<br>3.სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილება სტრატეგიული დაგეგმარების სრულ პერიოდში;<br>4.ყოველწლიურად ჩატარებულია სტუდენტთა/მსმენელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა, ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. გამოკითხულია თითოეული მიზანჯგუფის მინიმუმ 60% წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში;<br>5. ყოველწლიურად ჩატარებულია პროგრამის განმახორციელებელ პირთა, ადმინისტრაციული პერსონალის თვითშეფასების კვლევა. გამოკითხულია თითოეული მიზანჯგუფის მინიმუმ 60% წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში;<br>6. ყოველწლიურად ჩატარებულია კურსდამთავრებულთა კვლევა, წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში;<br>7. ყოველწლიურად ჩატარებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, წარმოდგენილია ვერიფიკაციის დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილია გაუმჯობესების რეკომენდაციები/გეგმა;<br>8.ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ანალიზის საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები. | 01;04;05 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე აუდიტი | 1. ყოველწლიურად ჩატარებულია გარე აუდიტი, წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნა;<br>2.შენარჩუნებული საერთაშორისო ნიშანი ISO9001:2015 ;<br>3.შენარჩუნებული ავტორიზაცია; | 01;04;05 | | | | | | | |

| სტრატეგიული ამოცანა | მიზნის მიღწევის ინდიკატორი | პასუხისმგებელი | შესრულების დრო | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| **სტრატეგიული მიზანი 3 . პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება** | | | | | | | | | |
| 1. პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული გარემოს შექმნა | 1.მინიმუმამდე დაყვანილი საჩივარი/პრეტენზია (პროფ. სტუდენტის/მსმენელის მხრიდან) არაუმეტეს ყოველწლიურად 1;<br>2.ყოველწლიურად პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კმაყოფილების დონის მაჩვენებელი განისაზღვრება არანაკლებ 75 %;<br>3. ყოველწლიურად სასწავლო წლის/პროგრამის დასაწყისში ჩატარებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საკონსულტაციო გაცნობითი შეხვედრა;<br>4.ყოველწლიურად სტუდენტთა/მსმენელთა უფლებათა დაცვის შესახებ ჩატარებულია მინიმუმ 1 ღონისძიება.<br>5.ყოველწლიურად თვითმმართველობის ორგანიზებით, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობით, ჩატარებულია მინიმუმ 1 ღონისძიება.<br>6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად სტუდენტის/მსმენელის საჭიროებების გათვალისწინებით | 01;02;03;11;12;15; 17;20 | | | | | | | |
| 2.სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება | 1.ყოველწლიურად შენარჩუნებულია ნაკადის ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების/მსმენელების 80%; დაბალია სტუდენტთა/მსმენელთა გადინების მაჩვენებელი;<br>2.ყოველწლიურად ჩატარებულია ყველა დარგში მინიმუმ 1 მასტერკლასი;<br>3.ყოველწლიურად სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილება ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსებით განისაზღვრება არანაკლებ 75 %;<br>4.ყოველწლიურად სტუდენტების/მსმენელების კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პირებით, ადმინისტრაციული პერსონალით განისაზღვრება არანაკლებ 75 %;<br>5.უზრუნველყოფილია პროგრამების განხორციელების მდგრადობა შესაბამისი რაოდენობის ადამიანური რესურსით. | 01;02;03;11; 16;17;18 | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სისტემის განვითარება | 1.სტუდენტთა/მსმენელთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფისათვის აკადემიის ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსებულია თვეში სხვადასხვა პროფილის მინიმუმ 5 ვაკანსია;<br>2. ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 1 დასაქმების ფორუმი;<br>3.ყოველწლიურად დაფინანსებულია მინიმუმ 1 სტუდენტური ინიციატივა/პროექტი;<br>4. ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 5 ექსტრაკურიკულარული აქტივობა. | 01;02;08;14;17 | | | | | | | |

| სტრატეგიული ამოცანა | მიზნის მიღწევის ინდიკატორი | პასუხისმგებელი | შესრულების დრო | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| სტრატეგიული მიზანი 4. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება | | | | | | | | | |
| 1.ბრენდის ცნობადობაზე, იმიჯსა და რეპუტაციაზე ზრუნვა | 1. ყოველწლიურად განხორციელებული მინიმუმ 1 ღია კარის დღე;<br>2. ყოველწლიურად ვებგვერდის და სოციალური გვერდების მოდიფიცირება საჭიროების შესაბამისად, მოქნილობის და ინფორმატიულობის კუთხით;<br>3. ყოველწლიურად განხორციელებული მინიმუმ 1 საიმიჯო ღონისძიება. | 01;02;03;06;17 | | | | | | | |
| 2.ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა | 1.ყოველწლიურად მონაწილეობა მინიმუმ ერთ საერთაშორისო გამოფენაში;<br>2. საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით განხორციელებულია საინფორმაციო ვიზიტი. | 01;05 | | | | | | | |
| 3.უცხოენოვანი პროფესიული პროგრამის დამატება | 1.მინიმუმ ერთი უცხოენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია. | 01;02;03; | | | | | | | |
| 4.სასწავლო - სამეწარმეო სისტემის განვითარება | 1. ყოველწლიურად დარგობრივი მიმართულებებით მინიმუმ ერთი ახალი ობიექტის დამატება;<br>2. შექმნილია მინიმუმ ერთი დარგობრივი სასწავლო-საწარმო;<br>3.ყოველწლიურად სასწავლო-საწარმოში ჩართულია მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტი; | 01;02;03;15 | | | | | | | |

პასუხისმგებელი (ადამიანური რესურსი) პირების გრაფაში მითითებული კოდების განმარტება:

| |
|---|
| რექტორი - კოდი 01 |
| რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში - კოდი 02 |
| რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება) - კოდი 03 |
| ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კოდი 04 |
| ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - კოდი 05 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი- კოდი 06 |
| შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - კოდი 07 |
| შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - კოდი 08 |
| მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კოდი 09 |
| კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი -კოდი 10 |
| სასწავლო პროცესის მენეჯერი კოდი 11 |
| სასწავლო პროცესის სპეციალისტი - კოდი 12 |
| საქმისწარმოების მენეჯერი - კოდი 13 |
| რეესტრის წარმოების სპეციალისტი - კოდი 14 |
| სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი -15 |
| ადამიანური რესურსების მენეჯერი - კოდი 16 |
| სასერთიფიკატო პროგრამების კოორდინატორი - კოდი 17 |
| ბიბლიოთეკარი - კოდი 18 |
| ბუღალტერი - კოდი 19 |
| პროგრამის ხელმძღვანელი - კოდი 20 |
| პროფესიული განათლების მასწავლებელი -კოდი 21 |
| სასერთიფიკატო პროგრამის განმახორციელებელი პირი - კოდი 22 |
| დაცვის სპეციალისტი - კოდი 23 |
| დასუფთავების სპეციალისტი - კოდი 24 |